

## საქართველოს კანონი

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების  
სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში  
ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი I, №51, მუხ. 415) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-3 და მე-4 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა, ეს კანონი და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

მუხლი 4. სამსახურის სამართლებრივი სტატუსი სამსახური არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება.“.

2. ამოღებული იქნეს მე-6 მუხლის „ზ“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტები.

3. მე-7 მუხლის

ა) მე-2 პუნქტის:

ა.ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მის კომპეტენციას მიკუთვნებული საგადასახადო და საბაჟო სამართალდარღვევის ან სხვა სამართალდარღვევის გამოვლენა, შესწავლა და აღკვეთა და შესაბამისი საფუძვლების არსებობისას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე, 245-ე, 247-ე, 248-ე და 249-ე მუხლებით განსაზღვრული უზრუნველყოფის ზომების გამოყენება. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის დებულებების გამოყენების უფლება აქვთ საბაჟო და საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ მოსამსახურეებს.“;

ა.ბ) „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული სამართალდარღვევის გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით, სამსახურის უფროსის ბრძანებით, დასახლებულ პუნქტებში, საგზაო მაგისტრალეზზე და ტერიტორიულ წყლებში შეიძლება მოეწყოს

შემოწმების პროცედურები. ამ დროს სამსახურის უფლებამოსილ მოსამსახურეს უფლება აქვს გააჩეროს პირი და სატრანსპორტო საშუალება (გარდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული იმუნიტეტის მქონე პირებისა, დიპლომატიური, საკონსულო და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობებისა), მოსთხოვოს მოქალაქეს პირადობის დამადასტურებელი საბუთი, სატრანსპორტო საშუალებისა და საქონლის თანმხლები საბუთები, მოახდინოს სატრანსპორტო საშუალების ვიზუალური დათვალიერება.“.

4. მე-8 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ეს მუხლი ვრცელდება მხოლოდ საბაჟო გამშვები პუნქტებისა და საბაჟო საგუშაგოების სათანადოდ უფლებამოსილ მოსამსახურეებზე – სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას.“;

ბ) მე-2 და მე-3 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

5. მე-9 მუხლი ამოღებულ იქნეს.

6. მე-13 მუხლის:

ა) მე-5 პუნქტის „ა-გ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნას;

ბ) მე-6 პუნქტი ამოღებულ იქნას.

7. მე-14 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით, წელიწადში ერთხელ მაინც ტარდება ამ კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მოსამსახურეების სავალდებულო სამედიცინო შემოწმება. შემოწმების არადაამაკმაყოფილებელი შედეგების შემთხვევაში შესაბამისი პირი განთავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან ამ კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ეგ“ ქვეპუნქტის თანახმად.“.

8. მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნ) სამსახურის, მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ან ტერიტორიული ორგანოს რეორგანიზაცია ან/და ლიკვიდაცია.“.

6. მე-19 მუხლის მე-4-მე-6 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.